დევიდ ლინჩი საქართველოს 20 ნოემბერს ეწვევა

00:26, 14.11.2017



ლეგენდარული ამერიკელი რეჟისორი დევიდ ლინჩი საქართველოს 18-დან 21 ნოემბრის ჩათვლით ეწვევა.

ვიზიტის ფარგლებში, მსმენელთან ერთ-ერთი შეხვედრა 20 ნეომბერს კლუბ „ხიდში“ გაიმართება.

ძირითად საკითხებს შორის, რომელთა განხილვა საკულტო რეჟისორთან იგეგმება, არის დევიდ ლინჩის საერთაშორისო კინემატოგრაფიული უნივერსიტეტის გახსნა საქართველოში.

ასევე იგეგმება A კლასის საერთაშორისო კინოფესტივალის პროექტთან დაკავშირებული დისკუსია.

გარდა ამისა, დევიდ ლინჩის ფონდის ერთ-ერთ ინიციატივას წარმოადგენს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაზარალებულ პირთა მასშტაბური სარეაბილიტაციო სოციალური პროგრამა.

კავკასიაში „დევიდ ლინჩის ფონდი“ 2017 წლის 25 ივლისს დაარსდა და იგი საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს აერთიანებს.

ავტორი - თათია ბუხრაშვილი

კულტურა | დევიდ ლინჩი

DAVID LYNCH WILL VISIT GEORGIA ON THE 20TH OF NOVEMBER

The legendary American film director David Lynch will visit Georgia on November 18-21.

During his visit one of the meetings with the public will be held in the club “Khidi” on November 20th.

The main topic which will be discussed with the iconic film director is opening of David Lynch international film university in Georgia.

A class international film festival establishment project will also be discussed.

Besides one of the initiatives of David Lynch Foundation is a broad rehabilitation social program for the victims of car accidents.

David Lynch Foundation was established in Caucasus on the July 25th of 2017 and it unites Georgia, Azerbaijan and Armenia.